ა.(ა).ი.პ.„ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ დირექტორის ანგარიში

„მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა- დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის კუთხით 2019 წლის პირველ ნახევარში ჩატარებული სამუშაოებისა და სამომავლო გეგმების შესახებ“

ბატონო დეპუტატებო!

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებას ემსახურება თორმეტი მეეზოვე, რომლებიც თავიანთი სამოქმედო უბნების მიხედვით განაწილებული არიან შემდეგნაირად: კახიანის ქუჩას 23400 მ^2 ასუფთავებს ორი მეეზოვე, ცენტრალურ მოედანს პოლიციის მიმართულებით 10900 მ^2 ასუფთავებს ორი მეეზოვე, თამარ მეფის ქუჩას 9800მ^{2}ემსახურება ერთი მეეზოვე, რუსთაველის ქუჩას 14000 მ^2 ემსახურება ერთი მეეზოვე, ვაჟა-ფშაველას და კოსტავას ქუჩებს 6500მ^2 ასუფთავებს ერთი მეეზოვე, მერიის მიმდებარე ტერიტორიასა და გუბელაძის სკვერს 6100 მ^2 ასუფთავებს ერთი მეეზოვე, ჭავჭავაძის, სააკაძისა და წერეთლის ქუჩის ნაწილს, ეკლესიისა და ლიბერთი ბანკის მიმდებარე ტერიტორიას 6900 მ^2 ასუფთავებს ერთი მეეზოვე, დიმის ხიდიდან სოფელ დიმის ცენტრის მიმართულებით 5500 მ^2-ს ასუფთავებს ერთი მეეზოვე, ხოლო სოფელ რო- ხის ცენტრს 4900 მ^2 ერთი მეეზოვე. კვირაში ერთ დღეს ქვემოთ მოყვანილი მეეზოვეების ჯგუფი დამატებით გადიან დასალაგებლად გუბელაძისა და ნინოშვილის ქუჩებზე, ასევე კოსტავას ქუჩაზე ცენტრაულური სტადიონის მიმართულებით, თვეში ორჯერ ასუფთავებენ მერიის შიგაეზოს.

მეეზოვეების სამუშაო დღე იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება მანამ, სანამ არ დაამთავრებენ მათზე მიმაგრებული ტერიტორიის დაგვას, სამუშაო დროის ხანგრძლივობა შეადგენს საშუალოდ 4-5 საათს. ყველა მეეზოვე უზრუნველყოფილია სპეც ტანსაცმლითა და რეზინისჩექმებით.

იმისათვის რომ სრულყოფილი გახდეს მომსახურება ქალაქის ტერიტორიაზე დაგვა-დასუფთავების კუთხით კარგი იქნება, თუ მეეზოვეების აღნიშნულ კონტიგენტს დაემატება კიდევ სამი მეეზოვე. გარდა ამისა, გვაქვს ცოცხების პრობლემა, უსახსრობის გამო ვერ ვყიდულობთ სპეციალურ დასაგველ ცოცხებს, რომლებიც გამძლეც არის და ხარისხიანიც.

დასუფთავების სამსახურში მუშაობს თვრამეტი დამლაგებელი, რომლებიც ემსახურებიან შემდეგი ობიექტების დაგვა-დასუფთავებას: მერიის შენობა, ვ.ვ. მაიაკოვსკის სახლმუზეუმი, სპორტსკოლა, ცენტრალური სტადიონის ეზოში არსებული შენობა, დიმის სპორტსკოლა, ბაღდათის მუსიკალური სკოლა, წითელხევის მუსიკალური სკოლა, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, ცენტრალური ბიბლიოთეკა, კულტურის ცენტრის შენობა. ქვემოთ აღნიშნული შენობების დასუფთავებას დამლაგებლები ახდენენ ყოველდღიურად, რაცმოწმდება

ჩვენი სამსახურის სპეციალისტების მიერ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სამომავლოდ უნდა გაიზარდოს სამუშაოინვენტარისადასარეცხისაშუა- ლებების შესაძენად გამოყოფილი თანხების ოდენობა, რადგან ეს თანხები დღევანდელი მდგომარეობითარასაკმარისია.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატიურად მიმდინარეობს გაზონების, სკვერების, სავალი ნაწილებისა და სანიაღვრე არხების დასუ- ფთავება-დალაგება, დაფილფანება. აღნიშნულ სამუშაოებს ახორციელებს დასუფთავების სამსახურის თერთმეტი მუშა, რომლებიც სამუშაო დღეს იწყებენ დილის 9:00 საათზე და ამთავრებენ 18:00 საათზე. მუშაობა მიმდინარეობს წინა დღით შემუშავებული გრაფიკით. სტიქიური სიტუ- აციის დროს ყველა მუშა-მოსამსახურე გამოდის სამუშაოდ განურჩევლად სამუშაო დღისა.

სერვის ცენტრში ყოველდღიურად მუშაობს მობილური ჯგუფი 5 კაცის შემადგენლობით, რომლებიც პატრულირებენ დილის 9:00 საათიდან საღამოს 20:00 საათამდე ქალაქის ტერიტორიაზე, იცავენ სისუფთავეს და

აგრეთვე იცავენ ქალაქს პირუტყვისაგან, რომ არ განადგურდეს ყვავილები და მწვანე ნარგავები. სამსახურში საჭიროა 5 მუშის დამატება, რათა ერთდროულად გავიდეთ ყველა მიმართულებით.

2019 წლის მეორე ნახევრიდან ჩვეულ რეჟიმში ვაგრძელებთ შრომა საქმიანობას იგივე ტემპით.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქსა და სოფლებში განთავსებულია 500 ერთეული ნაგვის შემკრები კონტეინერი.

ა(ა)იპ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანებაში“ ირიცხება სამი ერთეული თვითმცლელი ნაგავმზიდი ავტომანქანა, რომლებიც სისტემატიურად ემსახურება ნაგვის კონტეინერის გაცლას. 18 $მ^3$-იანი, რომელიც გადის ყოველ- დღიურად ქალაქის ტერიტორიაზე და კვირაში 2 ჯერ სოფლების: ფერსათის, წითელხევის, როხის და ვარციხის მიმართულებით. 13 $მ^3$-იანი, რომელიც ემსახურება კურორტ საირმეს და გადის ზამთარში კვირაში ერთხელ, გაზაფხულიდან კვირაში ორჯერ, ხოლო ზაფხულზე ინტენსიური მუშაობის დროს კვირაში 3-ჯერ. ასევე აღნიშნული ავტომანქანა კვირაში ორი დღე ემსახურება სოფ I და II ობჩას, როკითს, დიდველას და ეწერს. 7 $მ^3$-იანი, რომელიც ყოველდღიურად გადის და იღებს ქალაქის ჩიხებს, ასევე ზედა დიმის და უკლებას სკოლისმიმართულებით,კვირაში ორი დღე სოფელ ფერსათის ჩიხებს და სოფელ შუბანს.

სამომავლოდ მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაგვემატოს ორასი ერთეული პლასტმასის კონტეინერი. სასურველი იქნება თუ შევიძენთ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული ქუჩებისათვის გამრეცხ ავტომანქანას და ასევე აუცილებლობას წარმოადგენს ავტოფარეხისა და სამრეცხაოს მოწყობა.